# მეფე დავით

## აღმაშენებელი



1892



№ VI.

Григорій Тимофѣевичъ
ПОЛУМОРДВИНОВЪ

სრულიად საქართველოს

# მეფე დავით

## აღმაშენებელი

„ზეცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო სიურმით ცხებულსა".

3109

საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ტფილისი
სტამბა ე. ი. ხელაძისა, საპ. ქუჩ., საკ. სახ. № 4.
1892

Дозволено цензурою, Тифлисъ, 21 Января 1892 г.

Типографія Е. И. Хеладзе, Саперн. улиц., собст. д. № 4.

ქართული ანბანი.

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჱ, თ, ი, კ, ლ, მ,
ნ, ჲ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ,
შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჴ, ჯ, ჰ, ჵ.

# დავით-აღმაშენებელი.

მეფე აჭარისა, ლივანისა, შავშეთისა, ერუშეთის, არტაანის, ქობულეთის, სომხეთის და სრულიად საქართველოისა
(1089—1125 წ.).

დავით მეფე, აღმაშენებლად წოდებული, თექვსმეტის წლისა იყო, როცა საქართველოს ტახტზე ავიდა. ამ დროს ქართლი, კახეთი, იმერეთი, აჭარა და სხვა საქართველოს კუთხეები აოხრებული იყო არაბ-თათრებისაგან. თბილისი, ბათუმი, რუსთავი, აჭარა და სხვა საქართველოს გამოჩენილი ქალაქები და ციხეები არაბებს ეჭირათ; ხალხი სულ მთებში იყო გახიზნული. ნაყოფიერი და წინა დროს აყვავებული ველები უდაბნოებათ იყო გარდაქცეული. მეფეები სცხოვრობდნენ იმერეთში, აჭარაში და იქაც უშიშარი ცხოვრებ არა ჰქონდათ. უსამართლობას ყველგან ფეხი გაედგა და ბევრს ქართულ რჯულისთვისაც კი ეღალატნა არაბების საამებლად.

ასეთს დროს გამეფდა წმინდა მეფე დავით-აღმაშენებელი. ეს მაშინათვე აჭარიდამ თბილისში ჩავიდა და არაბებს ასრე მოურიგდა: გადაჭრით ყოველ-წლივ ხარჯი უნდა მიეღოთ და სხვაფრივ ქართველების საქმეებში არ უნდა გარეულიყვნენ. ამის შემდეგ დავითმა აცნობა აჭარისა და სხვა მთებთ გახიზნულ ქართველობას, რომ ჩამოსულიყვნენ დაბა-ქალაქებში და თავიანთ დედულ-მამულისთვის მოეკიდნათ ხელი. ხვნა-თესვისა

და სარჩოს შეძენისათვის. მართლაც დაწიოკებულმა ქართველებმა იწყეს აოხრებულ ნაბინავრებზე ჩამოსვლა და ნანგრევ ქოხმახობის აშენება.

დავით თითონ იყო მტკიცე ქართველი და საწყლის მოსარჩლე; შეიტყობდა თუ არა, რომ რომელიმე მოხელე სჩაგრავდა საწყალს, შემწეობას არ აძლევდა და ან ღვთის მოყვარე არ იყო, მაშინვე ითხოვდა მოხელეობიდამ. რჯულზე ხელ-აღებულებს კიდევ სრულიად აძევებდა საქართველოდან და იმის დედულ-მამულს ჰმატებდა ხაზინას. საქართველო მალე მოიფინა სოფლებით და ქალაქებით და თუმცა დავითმა რამდენიმე წელს თავის ჯიბიდამ მისცა არაბებს ხარჯი—მალე ხალხი, არამც თუ ამ ხარჯს იშორებდა—ხაზინასაც ჰმატებდა.

ამ დროს აამაღლა აჭარის ქართველობა, აჭარაში დასხნა სკოლები, გააშენა ტაძრები, გააკეთა ციხე-კოშკები, საწყლებისათვის თავ-შესაფარი სახლები, ობლების საზრდელი, ქვრივოხრების, მოხუცებულების და სნეულების საპატრონო. ამანვე გაავრცელა ქართული წიგნები და მით სრულიად აავსო აჭარა. ამავე დროს არაბებს და მთლად იმათ მორწმუნე ხალხს ევროპიელებმა ომი აუტეხეს, იერუსალიმი რათ გიჭირავთო და უნდოდათ ქრისტეს საფლავი ამათ მონობისაგან განთავისუფლებინათ. იმიტომ საქართველოდამ არაბებმა ბევრი თავიანთ ჯარი გაგზავნეს იერუსალიმისაკენ—ისარგებლა ამით დავითმა და არამც თუ ხარჯის ძლევაზე უარი უთხრა—პირდაპირ დაესხა სამშვილდეში გამაგრებულ არაბებს, დაამარცხა და თითონ დაიჭირა ციხე. მერე გარშემო მყოფი არაბ-თათრები დაიმონავა და დაამშვიდა, ზოგნი გააძევა საქართველოდან.

გაძევებული არაბ-თათრები მალე ახალი ჯარით შემოვიდნენ საქართველოში თრიალეთის მხრით. დავითი იდგა გორის ახლო ნაჭარმაგევს. მოულოდნელად დაესხა მტრებს; სა-

შინლად დაამარცხა და გაფანტა ისინი — დავლა დარჩათ აჭარელ ქართველებს დიდ-ძალი.

ჰყვანდა დავითს ყოჩაღი სარდალი — რომელიც ამასთანავე იყო ეპისკოპოსად და მიუძღოდა ჯარს წინ ჯვარით — ეს იყო გიორგი ჭყონდიდელი — ამ ეპისკოპოსმა მოულოდნელის თავს დასხმით თურქებს წაართვა მაგარი ციხეები რუსთავისა და აჭარისა.

იმიტომ მესამეთ უფრო დიდი ჯარით შემოვიდნენ თურქები საქართველოში; აქ აპირებდნენ ზამთრის გატარებას და გაზაფხულზე დავით აღმაშენებლის ჯავრის ამოყრას.

კახეთი ჯერ არ ემორჩილებოდა დავითს და თავიანთ მეფე ჰყვანდათ გრემში. დავითი ჯარით წავიდა კახეთის დასამორჩილებლად. რადგან მათი მეფე, ანუ როგორც თითონ ეძახდნენ კახელები — ქორეპისკოპოსი, იყო გარყვნილი კაცი, ხალხი გადუდგა იმას და დავითმა დაიჭირა კახეთი.

ქალაქი თბილისი ორასი წელიწადი მეტი ეჭირათ თურქებს და იმ დროს დავითსაც სატახტო ქალაქად ჰქონდა ქუთაისი. ბოლოს გაბედა და მიადგა თბილისსაც ასაღებად. კარგა ხნის ომის შემდეგ აიღო ეს ქალაქიც და ახალად გაჰხადა სატახტო ქალაქად.

რადგანაც მტრისა მაინც შიში იყო, იმიტომ განიძრახა დამეგობრება ძრიელ ხალხისა ყიფჩაღებისა. ეს ყიფჩაღები იყვნენ კავკასიონის ქედს იქით მცხოვრებნი, ბლომა და ყოჩაღი მეომარი ხალხნი. იმიტომ შეირთო ყიფჩახ მეფის ქალი კანონიერ ცოლად და სთხოვა სიმამრს უსაქმოდ მსხდარი მისი ჯარი მიეცა მისთვის — ამასთან აუთქვა დავლის განაწილებაც.

სიხარულით მიიღეს ყიფჩაღებმა ეს ამბავი — მხოლოდ სთხოვეს დავითს, რომ ოსებზე გზა მიეცა ჩამოსასვლელად. გახარებული დავითი თითონ ავიდა ოსეთში. გაალებინა დარიალის

კარები კავკასიონის მთებში და გადმორეკა მრავალი ყიფჩები. მოიყვანა თან თავის სიდედრი და ცოლის ძმები.

ბევრი ყიფჩებთაგანი საქართველოს მოყვრად შეიქმნენ. დავითმა მათ დაუყენა ყაჩალი სარდლები.

დარბეულნი და ყოველ მხრით შეწუხებულნი არაბ-თურქნი ჩავიდნენ თავიანთ ქვეყანას და უამბეს თავიანთ უბედურება სულთანს. მაშინ სულთანმა მოკრიფა მრავალი ჯარი, შემოვიდა საქართველოში, როგორც კალია და აავსო თრიალეთ-აწყარა, დიდ-გორი, მანგლისი—ისე რომ ეს ადგილნი ვერც-კი იტევდნენ. დაეცა მათ დავითი და ისე ამოჟლიტა, რომ დიდხანს ყარდა თურქთა მძორით ის ადგილები. მოიტანა შინ მრავალი საუნჯე და ალაფი.

ამის შემდეგ სულთანმა შარვა-შაჰიმ აიღო შამახია, შირვანი და კასპიის ზღვის მახლობელნი მხარენი—თან დავითს შემოუთვალა: ეი, შენ ტყვეთ მეფევ! ან დაიდე ჩემი ხარჯი და შეიცვალე რჯული და ან არა მოვალ და აგატიალებო. დავითმა მოკრიფა ჯარი და გაექანა შამახიისკენ. შაშინდა სულთანი, შაიმწყვდა ჯარით ქალაქში და თან პატიება სთხოვა დავითს თავხედობისთვის. დავითმა მოასწრო ქალაქს გარეთ საკმაო მის ჯარს და გაუჟლიტა. სულთანმა დიდი ძღვენი გამოუგზავნა დავითს და შემდეგში თითონაც გაიპარა. დავითმა აიღო გარშამო ქალაქები, დაიპყრა დარუბანდი და იქიდგან წამოიღო რკინის კარები, რომელიც ეხლაც არის გელათის მონასტერში. ყოველ აღებულ ქალაქებში დავითი თავის გამგებლებს აყენებდა. აქედამ მოუარა სამხრეთის სამზღვრებს არარატის მთამდე და გამოვიდა ახალციხისკენ, ქართლში, საცა მოასწრო თურქთ, ან თათრებს, დაამარცხა იგინი.

აქ მოვიდნენ სომხები და სთხოვეს თავის ხელქვეითი გაეხადა მათი ქალაქი ანი, რომელიც სულ მუდამ მტრების

რბევაში იყო. დავითი გადავიდა ანში დიდის ჯარით, დაიჭირა იგი ქალაქი, თავისი კაცი დააყენა უფროსად, მოავარგა ყვე-ლაფერი და დაბრუნდა შინ. აქვე აღაგეს მის სასახელოდ ქარ-თველებმა ტაძრები.

ეს ძრიელი მეფე, იყო მეტად ღვთის მოყვარე და გო-ნიერი ქვეყნის მომწყობი. თითონ სჯერდებოდა სულ უბრა-ლოს და დავლიდამ ნაშოვნით აშენებდა მონასტრებს, ტაძრებს და არხებს. კეთილ და საქვეყნო საქმისათვის იმან დაღალვა არ იცოდა. ნუ ვიტყვით წვრილ ეკკლესიების აშენებას და აგრეთვე მრავალ ეკკლესიების განახლებას; დავითმა ააშენა გელათის მშვენიერი მონასტერი, ნათლის-მცემლის, უდაბნო ყარიაზე, მარტყოფის უდაბნო, ააშენა ქალაქ გორი, კავთის-ხევის მო-ნასტერი, ალევის ეკკლესია, დუშეთის ახლო ლომისისა, სომ-ხეთის ქალაქ ანში საკრებო ეკკლესია და მრავალნი სხვანი. შაკრიბა ყოველ მხრიდამ მცოდნე და ბრძენი კაცნი, რომელ-ნიც დააყენა მოხელეთ. იმის დროს იყო მეცნიერი და ფილო-სოფოსი არსენი იყალთოელი, რომელსაც სოფელ იყალთოში (კახეთშია) ჰქონდა ფილოსოფიის შკოლა და ასწავლიდა მრა-ვალს. ამის დროსვე გაბრწყინდა ტბეთის ტაძრის სასწავლე-ბელი, სადაც სწავლობდნენ აჭარელ ქართველთ შვილები. აქვე სწავლობდა «ვეფხის ტყაოსნის» დამწერი შოთა რუსთაველი.

უყვარდა სასულიერო საქმეები და შეჰყრიდა ხოლმე სამ-ღვდელოებას, რომ იმათ ერთად ეზრუნვათ საქვეყნო საქმისა-თვის.

ჯვაროსან ომშიაც მიიღო დავითმა მონაწილეობა—იქაც მარჯვეთ მოიქცა. იერუსალიმში იშოვა საეკკლესიო ადგილი და გააშენა კიდეც ეკკლესია.

იმეფა დავითმა 36 წელი, დამარხეს გელათის მშვენიერ მონასტერში, სადაც ეხლაც სჩანს იმის საფლავის ქვა.

ხალხმა დავითს მისცა სახელი აღმაშენებლისა, რადგანაც მან ააშენა საქართველო გაოხრებული მტრებისგან. მთელმა ქართველობამ იგი იცნო წმიდანათ და დანიშნა მისი სახელის დღესასწაული, ოცდა ექვსს იანვარს.

ასეთი დიდებული მეფე ქართველების ცხოვრებაში ერთობ იშვიათია. ამას დიდს პატივსა სცემდა აჭარა, ლივანა,ართვინი და შავშეთი. აჭაური ქართველები ამბობდენ, რომ დავითი ჩვენი მეფე იყოვო. აჭაურებმა ამ დიდებულ და სახელოვან მეფეზე შემდეგი ლექსიც გამოთქვეს ძველათ.

უბის ავაგე საყდარი,
უწყლოსა წყალი ვადინე!
ისპანსა დავადე ბეგარა,
სტამბოლსა ხარჯი ავიღე;
აწა ამათმა მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

დიდმა და სახელოვანმა მეფემ, დავით აღმაშენებლად წოდებულმა, დიდი ამაგი დასდო დასავლეთ საქართველოს ქართველებს და განსაკუთრებით აჭარელთ, ლივანის ქართველთ, ერუშეთის, შავშეთის და სხვების. ამ სახელოვანმა მეფემ აამაღლა სამცხის ქართველი ხალხი და ამიტომ მოვალენი არიან დღევანდელი ქართველი თათრები, რომ ამ თავიანთ სახელოვან დიდებულს მეფეს დიდს პატივს სცემდენ და ადიდებდენ. ქართველმა თათრებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ძველათ ქართველები იყვნენ, დღესაც ქართველები არიან, ამათი ენაც ქართულია და მიტომ არ არის რიგი, რომ ამათ დავით აღმაშენებლისთანა დიდებულ მეფეს პატივს არ სცემდენ. იგი იყო საქართველოსთვის მამა, დიდი მფარველი:

„მოგვცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა,
მეფე აღმაშენებელს დავითსა, ზეგარდმო სიუხვით ცხებულსა“.

3199
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

947.922
Б 786

Басіевъ Василій